# ივერია

**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

ხელის მოსაწერად და კერძო განცხადებათათვის უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, კუკიაში, ავჭალის ქუჩაზედ, ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში; წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელიარიას, სათავად-აზნაურო ბანკის სახლებში, სასახლის ქუჩაზედ.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპეიკი.

1877—1892 სა პოლიტიკო და სა ლიტერატურო გაზეთი 1877—1892



## სასწავლებელი და პანსიონი ჯორჯიკიასი

(ქუთაისში)

გიმნაზიის, პროგიმნაზიის, რეალურ და სხვა სასწავლებლების პირველ და მოსამზადებელ კლასში მომზადებისათვის აიღებს სამ-სამს მანეთს თვიურად. პანსიონერებს შენახვისა და სწავლისათვის გადაახდევინებს წლიურად 180 მან. სასწავლებლის პანსიონში შეუძლიანთ იქონიონ ბინა და სწავლაში დახმარება გიმნაზიის და პროგიმნაზიის მოსწავლეთაც. მეორე, მესამე და სხვა კლასებში მომზადებისათვის მეტსაც აიღებს. ვისაც პანსიონში შვილის მიბარება ან დატოვება უნდა, საჭიროა ოც აგვისტოდგან პირველ სექტემბრამდე შეგვატყობინოს (ტფილისის ქუჩა, საკუთარ სახლში).

(20—103—7)

## რუსეთის საზოგადოება ცეცხლისაგან დაზღვევისა.

კანტორა უმთავრესის სააგენტოსი კავკასიისათვის არის ტფილისში, განოვის ქუჩაზედ, ნოტარიუს მამიკონოვის კანტორის გვერდზედ, ყაზაროვების სახლში.

ინსპექტორი საზოგადოებისა ვ. ო. ტარანოვი.

(10—6)


ყოველ დღე მიიღება „ივერიის“ რედაქციაში შემოწირულებანი სოფლად ხოლერით დაზარალებულთა სასარგებლოდ.

### ოფიციალური ცნობანი ხოლერის შესახებ.

ტფილისის მიხეილის საავადმყოფოში დილით, 11 აგვისტოს, იყო 4 კაცი და 7 დედაკაცი. იმავე დღეს მიიყვანეს გრიგორი პიჩკოვი; ამ დღეს არავინ გარდაცვლილა; დილით 12 აგვისტოს იყო 5 კაცი და 7 ქალი.

სპარსელთათვის დროებით აგებულს ფარდულში დილით 11 აგვისტოს იყო 5 ავადმყოფი. იმ დღეს მორჩნენ ორნი: ქიურზუმ-მაშადი-რიზაყიზი და ირზა-კუმი-ალი-ოღლი; გარდაიცვალა ერთი—ქერბალაი-ჰუსეინტალი-ოღლი; დილით 12 აგვისტოს დარჩა 2 ავადმყოფი.

მორჩა ელისაბედ გრიგორიევისა, რომელსაც სახლში სწამლობდნენ, და გარდაიცვალა მათუზ მალეროვი.

სიღნაღის მაზრის ექიმი იუწყება: 29 ივლისს ს. ანაგაში გახდა ავად ერთი და გარდაიცვალა; ბოდბისხევში 31 ივლისს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; ს. საქობოს მცხოვრებნი დავით ძალიაშვილი და საბა ყარაშვილი თავის ძმით სცდილობდნენ, 28 ივლისს, გაეტარებინათ ს. საქობოზედ თავიანთი ამხანაგის გვამი, რომელიც ხოლერით გარდაიცვალა; ყარაულებმა შენიშნეს გვამი წაართვეს და დაასაფლავეს, თითონ გვამის პატრონებს-კი დეზინფექცია გაუკეთეს. მაინც სამივენი ავად გახდნენ ხოლერით და გარდაიცვალნენ.

ტფილისის მაზრის უფროსი იუწყება: ს. საგარეჯოს 11 აგვისტოს გახდა ავად 4, გარდაიცვალა 4; პატარძეულში გახდა ავად 2, გარდაიცვალა 1; თოხლაურში გარდაიცვალა 1; ბერთუბანში გახდა ავად 2; გიორგიწმინდაში გახდა ავად 1 და გარდაიცვალა; კუმისში გახდა ავად 1; ხაშმში გარდაიცვალა 3; ნამტვრევანში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3.

სოფ. წილკანში, დუშეთ. მაზრა, 2 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; ქსოვრისში გარდაიცვალა 2.

## ახალი ამბავი

*** სოფლად ხოლერისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ და მასთან საბრძოლველად კიდევ მივიღეთ: ივანე იოსელიანისაგან 3 მან., მამადავითის მღვდლის ნესტორ მაჭარაშვილისაგან 5 მან., სიმონ ბერძნიშვილის მიერ ქალაქ მერეში შეკრებილი 9 მან. (შემომწირველთა სია: სოფიო გუსტოვისამ 20 კ., ალექსი ზერეკიძემ 2 მან., ბეჟან ზერეკიძემ 1 მან., ივანე ალავიძემ 1 მან., ზაქარია ჩახნიაშვილმა 1 მან., დ. ი—ძემ 1 მან., მღ. დიმიტრი ნოზაძემ 1 მან., არტემ დემუროვმა 1 მან., ს. მ. 1 მან. სულ 9 მან. (ფულის გამოგზავნის ხარჯს გარდა) და სიღნაღის ქართულ წიგნების მაღაზიის ამხანაგობის მიერ შეგროვილი 22 მ. 25 კ. (შემომწირველთა სია: ბ-ნმა კ. ტ. ბალაევმა 2 მ. 50 კ., ბლოღჩ. დეკანოზმა სიმონ ბეგიევმა 1 მ. 20 კ., ვ. ჯაფარიძემ 1 მან., ი. ხიმშიევმა 1 მან., დავით ჯალიაშვილმა 1 მან., ი. ქიტიაშვილმა 1 მან., არტემ ტერფარსილოვმა 1 მან., ნ. გამრეკელმა 1 მან., ს. მაისურაძემ 1 მან., სოლომონ ნასიძემ 50 კ., მოძღვართ-მოძღვარმა მღ. ზაქარია შინჯიევმა 50 კ., ალ. ნადიროვმა 40 კ., ი. შევჩენკომ 20 კაპ., ს. როსიკმა 20 კ., ვანო მელიქ-ნუბაროვმა 20 კ., შ. კ. 20 კ., დ. ხელიძემ 20 კ., X 15 კ., ვ. თარაევმა 15 კ., სარ. ზაქაროვმა 15 კაპ., X 10 კ., გარეგინამ 10 კ., ტ. ს. 10 კ., არაქელ ტერ-არაქელოვმა 10 კ., ისაკ ლონიევმა 10 კ., ქართ. წიგ. მაღაზიის ამხანაგობამ 3 მანათი, სიღნაღის ახლად დაარსებულმა მეჩექმების ამქარმა 5 მან. 20 კაპ. ამ ფულიდგან 25 კაპ. ფოსტის ხარჯად წავიდა), სულ ამ ხელად 39 მან. 25 კაპ. ამ ფულისა გვქონდა 540 მან. 35 კაპ. ამითი შესდგა 579 მან. 35 კაპ.

*** ბაქოს გუბერნატორი იუწყება: 8 აგვისტოს ბაქოში ავად გახდა 1, მორჩა 3, ავად არის 8; სამხედრო სამკურნალოში ავად არის 25; მთელს გუბერნიაში, გარდა ორის მაზრისა, საიდგანაც ცნობები არ მოგვსვლია, ავად გახდა 151, გარდაიცვალა 100, მორჩა 23, ავად არის 158.

ქუთაისის გუბერნატორი იუწყება: 8 აგვისტოს ქუთაისში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 5, მორჩა 1, ავად არის 7; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 7, გარდაიცვალა 3, მორჩა 4, ავად არის 24.

განჯის გუბერნატორი იუწყება: 8 აგვისტოს განჯაში ავად არავინ გამხდარა; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 119, მორჩა 63, გარდაიცვალა 67, ავად არის 115.

ზაქათალის ოლქის უფროსი იუწყება: 8 აგვისტოს მთელს ოლქში ავად გახდა 36, მორჩა 10, გარდაიცვალა 15, ავად არის 78.

დაღესტნის გუბერნატორი იუწყება 8 აგვისტოს: შურაში არც ემატება · ავადმყოფობა და არც აკლდება; მთელს ოლქში ავად არის 531, გარდაიცვალა 287, მორჩა 405; ავად არის შურაში 16, მთელს ოლქში 1643.

ყარსის გუბერნატორი იუწყება: ყარსში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1, ავად არის 9; შურაგელის მაზრაში ავად გახდა 173, გარდაიცვალა 63, მორჩა 46, ავად არის 132.

ერევნის გუბერნატორი იუწყება: 7 აგვისტოს ერევანში ავად გახდა 37, გარდაიცვალა 32, ავად არის 189. მთელს გუბერნიაში ავად არის 334, გარდაიცვალა 112, მორჩა 21, ავად არის 1049.

*** 10 აგვისტოს, ნაშუადღევის 2 საათზედ, ქალაქის მოურავმა დაათვალიერა მაჰმადიანთათვის გამართული დროებითი ხოლერიანთა საავადმყოფო. სათითაოდ ინახულა ავადმყოფები, გამოჰკითხა ვინაობა, შინაური ყოფა-ცხოვრება, გარემოება, თუ როგორ გახდნენ ავად და სხვანი. ქალაქის მოურავის თანაგრძნობიანმა ზაასმა დიდად ანუგეშა ავადმყოფნი. ეს სამკურნალო აბარია ქალაქის უფროსს ექიმს ისტამანოვს, რომელსაც მოურავმა დაავალა, რომ ვინც მორჩება და საავადმყოფოდგან გამოიწერება, მაშინვე გაგზავნონ მასთან და იგი ყოველს გვარს შემწეობასა და დახმარებას აღმოუჩენს, ვიდრე რაიმე სამუშაოს იშოვნიან. ასეთი ყურადღება ქალაქის მოურავისა ძლიერ სასიამოვნოდ დარჩათ ავადმყოფებს. შემდეგ დაათვალიერა სადგომი ფერშლებისა და მოსამსახურეებისა, სამზარეულო და სხვანი.

*** აბასთუმანს ამ მოკლე ხანში გაიმართება სამთო - საასტრონომიო ობსერვატორია. ობსერვატორიის შენობას უკვე ათავებენ. შენობის მეთვალყურეთ არის პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ს. პ. ფონ-გლაზენაპი.

*** სამშაბათს, დილის 9 საათზედ, ოლგას ქუჩაზედ ცხენის რკინის

---

# ფელეტონი

### ეგზემენის წინად *)

(მოთხრობა გეორგ ბენდლერისა)

სტუდენტები და ზედამხედველები რომ აქეთ ასეთს გულის ფანცქალში იყვნენ, მეორე დარბაზში მწვანე მაუდგადაფარებულს სტოლს პროფესორები შემოსხდომოდნენ და კრება ჰქონდათ გამართული. ყოველს სტუდენტს დეკანი მიუთითებდა პატარა სტოლზედ, რომელიც აქა-იქ ფანჯრებთან იდგა, და სტუდენტებიც მიდიოდნენ და მოუსხდებოდნენ ხოლმე.

როცა სტუდენტები თავ-თავის ალაგას დასხდნენ, დეკანი ერთ-ერთს პროფესორს გაჰგზავნიდა ხოლმე თითეულის სტუდენტისაკენ: ერთთან ფიზიკის პროფესორს, მეორესთან პროფესორს ქიმიკოსს, მესამესთან ფილოსოფიის პროფესორს. გამოცდის დასრულების შემდეგ პროფესორები სტუდენტებს იცვლიდნენ.

კარლის სტოლისაკენ პირველად ფიზიკის პროფესორმა ფოგელერმა გასწია. პროფესორს სახე გასწითლებოდა და აზრები, რასაკვირველია, ვერა ჰქონდა დალაგებული. შინაურ უსიამოვნების გამო დაუგვიანდა, სირბილით მოვიდა ამ პაპანაქება სიცხეში, სწყევლიდა ყოველ გვარს ეგზემენს დღევანდელს, რომელმაც ნასადილევის ძილს მოაცდინა.

წყნარად მოუჯდა პროფესორი კარლსა, რომლის სახეც სრულიად აღარ ახსოვდა, რადგან გუშინდელმა მისმა დარბაზობამ ძლიერ მცირე ხანს გასტანა. პროფესორი ამ ჟამად ისეთს კარგს გუნებაზედ არ შეჰხვდა, როგორის გუნების პატრონადაც იყო ცნობილი მოსწავლეთა შორის.

„სხეულთა სითბო“—აი ამ თემას ჩააცივდა პროფესორი. პროფესორსა სურდა, რომ კარლს განემარტა სქემა შედარებითის სიპბოს გამოანგარიშებისა ნარევ სხეულთათვის.

ეს სიტყვები ისე მოესმა კარლს ყურებში, თითქოს იმისთვის არა ყოფილიყოს ნათქვამი. ან-კი რა ედარდება კარლს სითბოსი. წინად, მართლა, ოდესღაც სწავლობდა ამ საგნებს, იცოდა კიდეც, მაგრამ ის დრო წავიდა, განქრა ყოველივე, ის ამ ჟამად კართლისათვის უბრალობა-ღა იყო. ეხლა სულ სხვა ნაირი აზრები უტრიალებდა თავში. მხდალო! მხდალო! აი მხოლოდ ეს სიტყვები-ღა უწიოდა კარლს ყურებში.

როგორღაც უგულისყუროდ მოჰკიდა კალამს ხელი, მაგრამ თითები გაეშვა, კალამი სტოლს ქვეშ ჩაუვარდა და როცა ამოსაღებად დაიღუნა, ისეთ ნაირად დაეჯახა, რომ კინაღამ პროფესორს ზედ მუხლებზედ არ გადუბრუნა სტოლი.

დაიწყო კარლმა წერა. ეხლა-კი იცოდა, რასაცა ჰკითხავდნენ, სცდილობდა გონება მოეკრიბა, მაგრამ საშინლად იყო გაბრუებული, თვალებში სულ სხვა საგნები ებლანდებოდა. სწერდა, მაგრამ ასოების მაგიერად გერტრუდასა ჰხედავდა, რომელიც ხელს უშვერდა ჩამოსართმევად; გერტრუდას გვერდზედ იდგა კარლის საბრალო და, ნამტირალევი ლიზა.

კარლს დიდი შეცდომა მოჰსვლოდა, პროფესორმა უკანვე დაუბრუნა ქაღალდი შესასწორებლად, მაგრამ კარლმა ველარ იპოვნა შეცდომა, რომ გაესწორებინა. სხვა კითხვებზედაც მხოლოდ რამდენჯერმე უპასუხა რიგიანად: მღელვარებისაგან საწყალს ენა ებმოდა.

ფოგელერი წავიდა და პატარა ხანს სიჩუმე ჩამოვარდა, რადგან ახლა პროფესორი ეკარდტი უნდა მოსულიყო კარლთან, მაგრამ არა სცალოდა. ჯერ სხვა სტუდენტსა ჰკითხავდა. პირველის ეგზემენის ავკარგიანობის შესახებ კარლი თავს არ იწუხებდა; იმისთვის სულ ერთი იყო, კარგად იქნებოდა, თუ ცუდად. აღარაფერი აღარა ესმოდა-რა, ჰგრძნობდა მხოლოდ საშინელს წყურვილსა და გაბრუებულს ტკივილს თავისას.

როცა დეკანი მივიდა და ალერსიანად დაუწყო ლაპარაკი, გულს ნუ გაიტეხთ, თუ ქიმიაში გაიმარჯვებთ, საქმე გასწორდებაო, მხოლოდ მაშინ მიჰხვდა კარლი—ეგზემენი ვერ დამიჭერიაო. დეკანმა ჩაციებით შეჰხედა კარლსა და უთხრა: „თქვენ იქნება უქეიფოდა ხართ? მაშ ის ემჯობინება, რომ ეგზემენი გადასდოთ“.

კარლმა გონება მოიკრიბა. იგი

*) იხ. „ივერია“, № 166.

გზის ვაგონს ქვეშ ჩავარდა ტფილისის მოქალაქის ხეჩო ასლამაზოვის 3 წლის ყმაწვილი და ძლიერ დაშავდა.

⁂ კავკასიის სამოსწავლო ოლქის უფროსის თხოვნით საერო განათლების მინისტრმა ნება დართო, რომ ტფილისის ყველა სასწავლებელში მისაღები ეგზამენები 15 ენკენისთვეს დაიწყოს.

⁂ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტის მიერ კავკასიაში გამოგზავნილი 20 მომვლელი-ქალი ტფილისში ჩამოვიდნენ. სამკურნალოს განყოფილებამ გადასჰწყვიტა, ეს მომვლელი ქალები გაგზავნოს: ქუთაისის გუბერნიაში 6; ამათში 2 ქუთაისსა, 2 ფოთსა, 1 ბათუმსა და 1 ანაკლიაში; ერევნის გუბერნიაში გაიგზავნება 6: სამი ერევანსა და სამიც გუმბრის მაზრაში; ორი ქალი გაიგზავნება ბორჯომს და ორიც ტფილისის მიხეილის სამკურნალოში. დანარჩენი 4 ქალი ტფილისის იმ მაზრებში გაიგზავნება, სადაც ხოლერა უფრო გაძლიერდება.

⁂ 10 აგვისტოს, საღამოს 8 საათზედ, შინდისის გზაზედ, ტფილისიდგან 7 ვერსის მოშორებით, შემდეგი ამბავი მოხდა. ამ გზით ქალაქში ფეხით მოდიოდა ერთი გლეხი. გზაში ავაზაკები დაუხვდნენ და ფული სთხოვეს. გლეხს რამდენიმე მანათი ჰქონდა. ავაზაკებმა წაართვეს ეს ფული და ვერცხლის საათი და გასწიეს თავისთვის. გლეხმა ეს ამბავი გზის დარაჯებს შეატყობინა. 4 დარაჯი ცხენებით დაედევნენ ავაზაკებს და მალე დაეწივნენ. ერთმა დარაჯთაგანმა, ბაგრატ გაბრიაშვილმა, ხელი წაავლო ერთს ავაზაკთაგანს, მაგრამ მან წამსვე ხანჯალი იძრო და დაჰკრა თავში გაბრიაშვილს. საბრალომ იქვე განუტევა სული.

⁂ სოფ. მერეთი: ხოლერამ ჩვენც შეგვაფუცხუნა, ახლო-მახლო სოფლებს შემოერტყა და შიშის ქარმა აგვიტანა. მაგრამ სენს არ შევუშინდით, ვემზადებით მის დასახვედრად, გავსუფთავდით და განვიწმინდენით. ესეც არ ვიკმარეთ. აქ მცხოვრებმა აზნაურებმა ფურცელაძიანთ გამოიღეს ფული, საკმარისი წამლები შეიძინეს და ფერშალი მოიწვიეს. ფერშალი რაკილა დაბინავდა ჩვენში, გული მოგვეცა და მამაცად ველით ხოლერას. ვგონებთ, ეს პირველი მაგალითია, რომ სოფელს თავის ხარჯით გორის მაზრაში ფერშალი მოეწვიოს. შეძლებული თავადიშვილები თითო შაურს ვერ იღებენ ხოლერასთან საბრძოლველად და შედარებით ხელმოკლე აზნაურიშვილებმა-კი მანათებიც არ დაინანეს თავისის თავის და მეზობლების გადასარჩენად.

ჩვენ ჩვენის მხრით ვიტყვით, რომ სწორედ მადლობის ღირსნი არიან მერეთის მებატონენი ასეთის საქციელისათვის.

⁂ სოფ. ნორიო: ჩვენს სოფელში დიდი ხანია არსებობს სკოლა და მასთან წიგნთ-საცავი, რომელშიაც, სამწუხაროდ, ქართული წიგნები არ მოიპოვება. დღეს ჩვენდა საკეთილოდ ერთმა ყმაწვილმა კაცმა, ხარკოვის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტის სტუდენტმა ა. კ—მა, იკისრა თავის ხარჯით საყმაწვილო ქართულ წიგნების შეძენა და შეწირვა წიგნთ-საცავისათვის. ვისურვებთ, რომ ბ-ნ კ—შვილის განზრახვას არავითარი დაბრკოლება არ აღმოუჩნდეს.

⁂ ქარელი (გორის მაზრა), 10 აგვისტო: უკანასკნელ რიცხვებში დაუპატიჟებელმა სტუმარმა ხოლერამ ქარელისა, რუისისა და სხვა ახლო-მახლო საზოგადოებანი ისე შეაწუხა, რომ ზოგიერთი სოფლელები იძულებულნი იყვნენ თავიანთი სარჩო-საბადებელისათვის თავი დაენებებინათ და გაქცევით ცარიელი თავი მაინც გადაერჩინათ ამ შეუბრალებელ სენისაგან. მაგალითად, ს. რუისელებს, ტყე რომ ახლო არა ჰქონდათ, ვენახებში გაიხიზნენ, ხოლო კეხიჯვრელები, სანებლელები, წრომელები, ხცისელები და სხვანი— საციციანოს ტყეში; ზემოხსენებულ სოფლებში რომ გაევლო ვისმეს, იტყოდა: აღა-მახმად-ხანი შემოსულაო და მთელი ხალხი დაუფორიაქებიაო. მარტო რუისში ამ დაუნდობელმა სენმა ორმოც-და-თხუთმეტი კაცი მეტი იმსხვერპლა, ქარელში—თითქმის ოცამდე; იმისთანა პატარა სოფელში, სადაც ოცი კომლი მცხოვრები არც-კია, ათ კაცზედ, მეტი თუ არა, ნაკლები არ უმსხვერპლია. ამ თთვის 5—4 დღე იქნება, მერეთის მხრით ქარმა დაუბერა, ჟუჟუნა წვიმებიც იყო და ძალიან აგრილდა, თითქმის სალამ-სალამოთი ისეთი სიგრილეა, რომ თუ არ ზამთრის ტანისამოსი, გარეთ გამოსვლა ძნელია. ამ სიგრილემ საკმაოდ შეაკვეცა ფრთები ხოლერას. ნელ-ნელა ტყეში გახიზნულნი თავ-თავიანთ სახლებში ბრუნდებიან. იმედი გვაქვს, რომ თუ სიგრილემ ცოტა ხანს მაინც გასტანა, სრულებით დაგვიხსნის ამ დაუპატიჟებელ სენისაგან. სიგრილე-ღა დაგვრჩენია ექიმადაც, ფერშლადაც და წამლადაც, ამიტომ-რომ აქამდის თვალით არ გვინახავს ექიმი და წამლებისა ხომ უექიმოდ სრულებით არა გაგვეგებარა.

⁂ სიღნაღი, 10 აგვისტო. სიღნაღელებს გვიხარიან, რომ ჯერ მშვიდობითა ვართ. შეუბრალებელმა მტერმა—ხოლერამ ჯერ-ჯერობით მხარი აგვიქცია. ადრეც ვთქვით და ეხლაც ვიმეორებთ, ჩვენი ქალაქი არასა ჰზოგავს, გვივლის, რითაც-კი შეუძლიან. უფროსიდან მოკიდებული უმცროს „დესიატნიკამდე“ მუშაობენ თავ-გამოდებით. თუმცა ხოლერამ შეგვიბრალა, მაგრამ სიღნაღში ამ ჟამად ყვანის მსგავსი სენი გაჩნდა, რომელმაც ძლიერ შეგვაწუხა.

⁂ იმიერ-კასპიის მხრის უფროსი დეპეშით ატყობინებს სამარყანდის გუბერნატორს, რომ მეშედში ხოლერა მოისპო. რაიცა შეეხება იმ ამბავს, ვითომ საბძევარსა და არდებილში ჟამი გაჩნდაო, კავკასიის მთავარმართებლის თანაშემწე დეპეშით დაეკითხა ამის შესახებ თავრიზში მყოფს რუსეთის ელჩს, მაგრამ ჯერ პასუხი არ მოსვლია („ Т. Л.“).

⁂ 10-სამ თთვისას ლევანოვიჩის ხელზედ მოსამსახურემ, სოფ. კნივალის მცხოვრებელმა კონსტანტინე კუსრაშვილმა, პოლიციაში გამოაცხადა, რომ გრიბოედოვის ქუჩაზედ ჩემთან სამზარეულოში გაბო ბეკაშვილი შემოვიდა. ამ დროს ქალბატონი გამოვიდა და წუმწუმის სასყიდლად გამგზავნა. როცა დავბრუნდი, ბეკაშვილი იქ აღარ დამიხვდა. კედელზედ ჩამოკიდებული წყვილი ფეხსაცმელი მქონდა და ისინი ძირს ეყარა. ფეხსაცმელში 100 მან. და 65 კაპ. მქონდა შენახული და აღარ იყოო. დამნაშავე შეიპყრეს.

---

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბავი.)

**სოფ. ერკეთი** (ოზურგეთის მაზრა). „ერთი ჭირი მარგებელიაო“, იტყვიან ხოლმე. ასე მოსდით ჩვენს აზნაურობის მაძიებელთაც. მართალია, აზნაურობა-კი აქვთ საძებნელი, მაგ-რამ ამ „აზნაურობის“ მოლოდინში თავიც ადვილად გამოაქვთ. ისინი იხდიან მხოლოდ სახელმწიფო გადასახადს, რომელსაც „ფოშტის ფულს“ უწოდებენ. იხდიან ჩუმად, მეზობლების გაუგებრად, რადგანაც სცხვენიანთ. გარდა ამისა, არავითარი სოფლის მოთხოვნილება იმათ მხრივ არა სრულდება, მაგალითად, არც სასოფლო გზების მუშაობა, მუშად გასვლა სხვა საზოგადოებაში, ცხენებისა და ხარების გამოყვანა მოთხოვნილებისამებრ ვისმეს წასაყვანად, ან რისამე წასაღებად და ბევრი სხვა. მიზეზი ამისა არის სოფლის მოხელეების გულკეთილობა და იმავე დროს მათი უცოდნელობა საზოგადო ინტერესისა, რომელსაც ყოველი სოფლის მოხელე კაცი ბრჭყალებით უნდა ეჭიდებოდეს და მისდევდეს, თუ უნდა რომ თავისი დანიშნულება გაამართლოს.

მრავალნი მათგანნი (მოხელენი) ვერ იწვევენ ამ ვითომ-და აზნაურებს სოფლის მოთხოვნილების აღსასრულებლად ან მოყვრობით, ან მეზობლობით, ან მორიდებითა და მოფერებით და ან თავის უცოდნელობით. იმას-კი არ უყურებენ, რომ ამითი გასაკეთებელი საზოგადო საქმე აწვება კისერზედ საწყალს, ისეც გაწვალებულ-გაჯახირებულს. დრო არის მგონი, რომ სოფლის მამასახლისებმა დაწვრილებით იცოდნენ, ვინ არის იმათ საზოგადოებაში გლეხი და ვინ აზნაური, ვის მოეთხოვება სხვა-და-სხვა მოთხოვნილება და ვის არა, რათა თანაბრად გაანაწილონ საზოგადო საქმე თავის საზოგადოებაში. მაძიებელთა ჯილდო უნდა ეძლეოდეთ საძებრის პოვნის შემდეგ და არა წინად. ვსთქვათ, ეღირსნენ ამ თავის საძებარ აზნაურობას და დაუმტკიცდათ აზნაურობა, მაშინ მათდა ჯილდოდ კარგად ძებნისა და უნარიანობისა ის იქნება, რომ „ფოშტის ფულის“ გადახდისაგან და საზოგადო მოთხოვნილებაში გამოწვევისაგან განთავისუფლდებიან. ისიც უნდა იცოდეთ, რომ „აზნაურობით“ დამშეულნი მრავალნი არიან და დროზედ ყურადღებაც უნდა მიექცეთ.

ბ.

---

## რუსეთი

პეტერბურგში 4—5 აგვისტოს ავად გახდა 60, მორჩა 19, გარდაიცვალა 22.

მოსკოვში 3 აგვისტოს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 10; მთელს გუბერნიაში ავად არავინ გამხდარა, გარდაიცვალა 1 მორჩა 1.

ასტრახანში 3 აგვისტოს ავად გახდა 4, გარდაიცვალა 1, მორჩა 6; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 160, გარდაიცვალა 141, მორჩა 81.

ვარონეჟში 3 აგვისტოს ავად გახდა 18, გარდაიცვალა 10, მორჩა 5; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 171, გარდაიცვალა 73.

ვიატკაში 3 აგვისტოს ავად გახდა 3, გარდაიცვალა 1.

ყაზანში 3 აგვისტოს ავად გახდა 10, გარდაიცვალა 5.

კოსტრომში 2 აგვისტოს გარდაიცვალა 1, მორჩა 2; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 8, გარდაცვალა 2, მორჩა 18.

ნიჟნი-ნოვოგოროდში 4 აგვისტოს ავად გახდა 24, გარდაიცვალა 12, მორჩა 38; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 41, გარდაიცვალა 25, მორჩა 68.

ორენბურგში 3 აგვისტოს ავად გახდა 90, გარდაიცვალა 57, მორჩა 30; მთელს გუბერნიაში 2 აგვისტოს ავად გახდა 105, გარდაიცვალა 35.

ორლოვსკის გუბერნიაშა 31 ივლისს და 3 აგვისტოს ავად გახდა 19, გარდაიცვალა 13.

პენზაში 3 აგვისტოს ავად გახდა 40, გარდაიცვალა 17, მორჩა 16; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 22, გარდაიცვალა 9, მორჩა 6.

პერმში 3 აგვისტოს ავად გახდა 11, გარდაიცვალა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 10, გარდაიცვალა 5.

პოლტავის გუბერნიაში 2 აგვისტოს ავად გახდა 20, გარდაიცვალა 7.

---

სრულიად კარგად არის; მოვიდნენ და განაგრძონ ეგზემენი. თითქოს ცოტა და უბრალო რამ იყოს, რომ კაცმა სიცოცხლეში ერთხელ მხდალობა გამოიჩინოს! კარლი მაგრად დაეწაფა წყალს, რომელიც დეკანმა სიბრალულით მოაწოდა.

დაიწყო ეგზემენი არა-ორგანიულ ქიმიისა. ტან-დაბალი, ჯოდკერა ეკარდტი კარლს გვერდით მოუჯდა. პირველს ხანს კარლი კარგად უპასუხებდა, ასე რომ პროფესორი ნიშნად კმაყოფილებისა თავს იქნევდა. ახლა სხვას დაეკითხა პროფესორი, კარლმა ესეც კარგად იცოდა, აი უნდოდა ეპასუხნა, მაგრამ უეცრად თვალები პირდაპირ კედელს შეაჩერა. იქ მოშორებით კუთხეში ის კაცი იჯდა, რომელიც ყველაზედ ძლიერ ეჯავრებოდა, მაგრამ არ შეეძლო თავს დასცემოდა, რადგან პატიოსანი სიტყვა ჰქონდა ჩამორთმეული. კარლს სახე საშინლად გაუწითლდა და ჩაციებით დაუწყო ცქერა ერთს ალაგს. სიბრაზისაგან ხელებს სტოლს ქვეშა ჰმუშტავდა და დაწყებული სიტყვა შუაზედ შესწყვიტა, იცოდა, მაგრამ ერთბაშად გადაავიწყდა; რამდენჯერმე დააპირა პასუხის მიცემა, მაგრამ ველარ მოახერხა. კარლი არეული იყო, აღარა ესმოდარა. მხოლოდ ის-კი გაიგონა, რომ ვიღამაც უთხრა: „ბატონო კანდიდატო, თქვენ უმთავრესი კანონები არა გცოდნიათ არა-ორგანიულ ქიმიისა!“ ამას შემდეგ კარლი მარტო დარჩა. აგერ კარლი ვიღასაც ალერსიანად აძლევს სალამსა და ხელს ართმევს.

როცა მესამე ეგზემენი დაიწყო ორგანიულის ქიმიისა, კარლი მიჰხვდა, ახლა-კი უნდა მოვიკრიბო, რაც ძალა და ღონე მაქვსო. მართლაც, ძლიერი ძალა დაატანა თავისს თავს და ყველაფერი კარგად მიუგო. მაინც ბოლოს პროფესორი საიმისოდ მადლობელი არ დარჩა, რადგან კარლს არა სცოდნოდა ამ პროფესორის მიერ ოდესღაც დაბეჭდილი თხზულება.

მაგრამ რა? განა რამ მნიშვნელობა უნდა იქონიოს ამ უბრალო გარემოებამ კარლის ცოდნის დაფასების დროს. მერე ხომ თითონაც იცის, რომ უტვინო არ არის. აქ კვლავ ჩაფიქრდა კარლი, მოაწვა ისევ შავი ფიქრები და დაავიწყა დროცა და ადგილიც.

ეგზემენები ჯერ არ გათავებულიყო, პროფესორები ისევ სტოლის გარშემო ისხდნენ და უნივერსიტეტის საქმეებზედ თათბირობდნენ. დეკანს კიდევ მიჰყავდა პროფესორები სტუდენტებთან საეგზემენოდ. ჰაერი შემძიმდა, სუნთქვა გაძნელდა. სანთლის შუქიც გამოჩნდა. დაბინდებულიყო. ყველანი გულის ძგერით მოელოდნენ საქმის გათავებას. გულგაწვრილებული ზედამხედველებიც მალ-მალ შემოიხედავდნენ ხოლმე კარებიდგან.

კარლთან მივიდა ფილოსოფიის პროფესორი ლესმანი, თხელ-თხელი, ჭაღარა, ხუჭუჭ-თმიანი კაცი. როგორღაც უგულისყუროდ მოექცა პროფესორი კარლს. კარლი ქიმიკოსი იყო და ასეთი კაცი, ლესმანის ფილოსოფიურის ჭკუით, ბევრს არაფერსა ჰნიშნავდა.

— თემა თქვენ თითონ უნდა აირჩიოთ.

კარლმა სპინოზაზე მოინდომა ლაპარაკი; განმარტა განსხვავება იმის მოძღვრებასა და დეკარტის მოძღვრებას შორის; აღნიშნა, რომ დეკარტს სამი მთავარი არსება მიაჩნია და სპინოზას-კი მხოლოდ ერთი. პროფესორი ნიშნად კმაყოფილებისა თავს იქნევდა და უნდა გაეთავებინა კიდეც ეგზემენი, მაგრამ გამხნევებულმა კარლმა განაგრძო განმარტება სპინოზას მოძღვრებისა—ღვთიური ზეარსება თავისუფლად მოქმედებს, ხელმძღვანელობს მხოლოდ იმითი, რაც იმის ბუნებისათვის არის საჭირო; კერძო არსებანი თავისუფალნი არ არიან, რადგან მათს მოქმედებას ყოველთვის გარეგანი გარემოება ახელმძღვანელებს. ამიტომ მეც ვეთანხმები სპინოზას, რომ არ არსებობს თავისუფლება ნებისა. განა სხვა რა არის ბოროტი და კეთილი, თუ არა ერთი მეორესაგან საცნობი ცნება? იმდენად თავისუფალნი რომ ვიყვნეთ, მარტო გონებით შეგვეძლოს ხელმძღვანელობა, ბედნიერნი ვიქნებოდით. მაგრამ ჭეშმარიტებას ვცნობთ გონებასთან ერთად გრძნობითაც და ამიტომ შევიქმნებით ხოლმე მსხვერპლნი ვნებათა და შეცდომისა...

— გატყობთ, კარგად შეგისწავლიათ სპინოზა, მადლობელი ვარო,— სთქვა პროფესორმა და წასვლა დააპირა.

მაგრამ კარლი ყურს არ უგდებდა, დიდი ხანი იყო სპინოზა გონებიდგან განშორდა; ეხლა ის სულ სხვა საგნის გამო ამბობდა ამას. ისეთ ნაირად მიჰმართა პროფესორს, რომ განაცვიფრა და შეაყენა.

— მერწმუნეთ, ბატონო პროფესორო, ისეთი წამი დაგვიდგება ხოლ-

რიაზანში 3 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 21, გარდაიცვალა 23, მორჩა 10.

სამარაში 3 აგვისტოს ავად გახდა 42 გარდაიცვალა 8, მორჩა 42; მთელს გუაერნიაში ავად გახდა 360, გარდაიცვალა 143, მორჩა 123.

სარატოვში 3 აგვისტოს ავად გახდა 30, გარდაიცვალა 12, მორჩა 16; ცარიცინში 2 აგვისტოს ავად გახდა 10, გარდაიცვალა 6, მორჩა 4; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 938, გარდაიცვალა 641.

სიმბირსკში 3 აგვისტოს ავად გახდა 7, გარდაიცვალა 11; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 24, გარდაიცვალა 10.

ტამბოვში 4 აგვისტოს ავად გახდა 2, გარდაიცვალა 1; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 153, გარდაიცვალა 69, მორჩა 39.

უფაში 2 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდაიცვალა 2, მორჩა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 71, გარდაიცვალა 33.

ხარკოვის გუბერნიაში 3 აგვისტოს ავად გახდა 250, გარდაიცვალა 97.

იაროსლავში 3 აგვისტოს ავად გახდა 17, გარდაიცვალა 7; რიაბინსკში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3; მთელს გუბერნიაში ავად გახდა 4, გარდაიცვალა 3, მორჩა 3.

ნოვოჩერკასკში 3 აგვისტოს ავად გახდა 8, გარდაიცვალა 2, მორჩა 8; ქალაქებში როსტოვსა და ნახიჩევანში (დონისა) ავად გახდა 71, გარდაიცვალა 32, მორჩა 48; ტაგანროგში ავად გახდა 28, გარდაიცვალა 14; მთელს ოლქში ავად გახდა 709, გარდაიცვალა 366, მორჩა 534.

ომსკში 3 აგვისტოს ავად გახდა 37, გარდაიცვალა 13; მთელს ოლქში ავად გახდა 12, გარდაიცვალა 7.

ტობოლსკში 3 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 1, მორჩა 5.

ტომსკში 3 აგვისტოს ავად გახდა 71, გარდაიცვალა 42.

ურალსკში 3 აგვისტოს ავად გახდა 14, გარდაიცვალა 6, მორჩა 4; ქ. გურიევში ავად გახდა 1, გარდაიცვალა 2; მთელს ოლქში 22 ივლისიდგან 4 აგვისტომდე ავად გახდა 201, გარდაიცვალა 130.

ასხაბადში 30 ივლისს ავად გახდა 20, გარდაიცვალა 15; მთელს ოლქში ავად გახდა 3 გარდაიცვალა 4.

## უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის პარლამენტის ამომავალმა მზემ, სენას დეპარტამენტის დეპუტატმა მილიერანმა, კიდევ იჩინა თავი თავისის მჭევრმეტყველობითა და საქმის ცოდნით, როცა დეპუტატთა პალატაში ლაპარაკი ჩამოვარდა იმის შესახებ, კიდევ მიეცეს უპირატესობანი საფრანგეთის ბანკს, თუ არაო. ეს ბანკი დიდი ხანია არსებობს პარიჟში, დიდს ფულს ატრიალებს და დიდი მნიშვნელობაცა აქვს საფრანგეთის საეკონომიო ცხოვრებაში. მილიერანი, მართალია, უმწვერვალეს მემარცხენეთა დასის კაცია, მაგრამ ხშირად დადგება ხოლმე იმათ გარეშე, შორსა სცემს თავის ჭკვიანურს სიტყვას და იმდენად კლემანსოსა და პელეტანს არ ემხრობა, რამდენადაც გობლეს და სხვა დასს, მუშათა მფარველობისას. მილიერანი დიდი მომხრეა მუშა ხალხისა და ისე ლაპარაკი არ ჩამოვარდება მის შესახებ, რომ მონაწილეობა არ მიიღოს და თავისი შორსმჭვრეტელობა, თავისი ცოდნა და უნარი არ გამოიჩინოს საზოგადოსაეკონომიო საგნების განხილვაში. ასე მოხდა მაშინაც, როცა დეპუტატთა პალატას უნდა გაერჩია საფრანგეთის ბანკის საქმე. უმწვერვალეს მემარცხენეთა დასი, რაკი იცოდა, რომ ძნელია სრულიად მოსპობა ზემოხსენებულის ბანკის უპირატესობისაო, მხოლოდ იმას სცდილობდა, რომ ეს უპირატესობანი დიდის ხნით არ მიჰნიჭებოდა ბანკს, ან მიჰნიჭებოდა იმ პირობით, რომ ქვეყნისათვის სასარგებლო ყოფილიყო. მილიერანმაკი სრული წინააღმდეგობა გაუწია მთავრობის კანონ-პროექტს ბანკის უპირატესობათა განგრძობისას. როგორც ეტყობა მის ვრცელს სიტყვას, თითონაც მტკიცედ არა სჯერა, რომ ჩემს აზრს თანაგრძნობით მიეგებება პალატაო, მაგრამ მაინც საჭიროა, რაც შეიძლება ცხადად და გარკვევით გამოითქვას ჩემი აზრი, რომ ეგებ ქვეყანამ მაინც მიაქციოს ყურადღებაო. ამის გამო მილიერანი იმდენად პალატისათვის არა ლაპარაკობდა, რამდენადაც ქვეყნისათვის. მაინც იმისი ლაპარაკი იმდენად საბუთიანი და ისე დასაჯერი იყო, მისმა სიტყვამ ისე იმოქმედა პალატაზედ, რომ ბანკის დამცველთ საჭიროდ დაინახეს მილიერანისათვის პასუხის მიცემა მიენდოთ ამისთანა საგნების ყველაზედ მეტად მცოდნე და თავიანთ ნიჭიერ წარმომადგენელ ლეონ სესათვის.

მილიერანის ლაპარაკი ორ ნაწილად განიყოფებოდა. პირველში ორატორი ამტკიცებდა, რომ ბანკის ეხლანდელი აგებულება დიდად საზარალოა ქვეყნისათვის და ბევრად უკეთესია, ეგ ბანკი მთელის ქვეყნის საკუთრება იყოსო. გზა და გზა მილიერანი არღვევდა იმ საბუთებს, რომელიც მოჰყავთ ასეთის აზრის მოწინააღმდეგეთ. მეორეში—მილიერანმა მეტად მარტივად, მაგრამ საკვირველის სიცხადით დაამტკიცა, რა მავნებელია ის პირობა, რა პირობითაც მთავრობას უნდა კვლავ განაგრძოს საფრანგეთის ბანკის უპირატესობანი 23 წლის ვადითაო. ბიურდოს ვრცელმა მოხსენებამ, რომელშიაც ის ამტკიცებდა, რომ მთავრობის კანონ-პროექტი დიდად მოსაწონიაო, აგრეთვე იმათმა საბუთებმა, რომელნიც ქება-დიდებით იხსენიებენ „Banque de France“-ს, ძალიან გაუადვილა საქმე ორატორს. მისი ლაპარაკი ყოველ ამის გამო უფრო სახალისო და მარილიანი გამოვიდა. ძლიერისა და ყოვლად შემძლებელის ბანკის მომხრენი მაინცა და მაინც არა ფრთხილობდნენ და საბუთები შერჩევით არ მოჰყავდათ. როგორც უფრო გამოცდილებისა და პრაქტიკის კაცნი, ყოველს საბუთს იხვევდნენ ხელზედ, რომელიც-კი მათთვის იმ წუთს გამოსადეგი იყო. ამ მიზეზით, იმათ ლაპარაკს მტკიცე დაწყობილება არა ჰქონდა და ერთი საბუთი მათი მეორეს ეწინააღმდეგებოდა. მილიერანმა ეს ცხადად დაანახვა პალატას და საკვირველის ოსტატობით დაუმტკიცა ბურდოს, რომ დიუფორი, რომელიც შენ რეტროგრადად და უკან ჩამორჩენილ კაცად მიგაჩნია, შენზედ ბევრად მოწინავე კაცი იყოო, ხოლო რუვიეს,—რომ ტიერმა 1840 წელს ბევრად გაგისწრო შენ წინ თავის გამბედაობითაო.

აი რა იყო უმთავრესი საბუთები მილიერანისა: ძლიერება და შემძლებლობა საფრანგეთის ბანკისა ის თანხა-კი არ არის, რომელიც აქციონერებს დაუდვიათ, არამედ ნდობა და კრედიტია მთელის ქვეყნისაო. ახლაკი ისეა მისი საქმე მოწყობილი, რომ მისი ინტერესები თითქმის სრულიად სხვაა და ქვეყნისა-კი სულ სხვაა. ყოველივე საქვეყნო უბედურება, თუნდ იმისთანა, მაგალითად, როგორიც იყო ფულის კრიზისი 1865 წელს, ანუ 1871 წლის ვაგლახი, მაგ ბანკისათვის აღდგომა და ცის მანანა იყო, რადგანაც აქციონერების მოგება ერთი-ორად მეტია მაშინ. ბანკი უნდა ემსახურებოდეს საფრანგეთის ინტერესებს, ნამდვილად-კი ემსახურება მდიდრებს, პლუტოკრატიას. ამას გარდა, სხვა რომ არა იყოს-რა, საშიშია, რომ მაგისთანა პირველი საკრედიტო დაწესებულება, მთელი ხაზინა ქვეყნისა ისეთის ხალხის ხელში იყოს ომიანობის დროს, რომელსაც უფრო საკოსმოპოლიტო თვისებანი აქვს. ბოლოს კიდევ, მავნებელი ის არის, რომ ეხლანდელი აგებულება მაგ ბანკისა მეტად ძვირად უჯდება ქვეყანას. აქციონერები რომ დიდს მოგებას არ ეტანებოდნენ, ბანკი რომ უფრო გონივრულად იყოს მოწყობილი, ისეთი დიდი მუშაობა აქვს და ისეთს სარგებელს იღებს ეგ ბანკი, რომ შეეძლო ვექსილების განაღდება 2°/₀ და თითქმის 1°/₀-ითაც. ამ სახით თითქმის იმას მოვახერხებდით, რომ გვექნებოდა საურთიერთო და მუქთი კრედიტი. მაგ ბანკის ასე მოსაწყობად დიდი რღვევა და ნგრევა არ მოუნდებოდა საქმეს. ამისათვის საჭირო იქნებოდა მხოლოდ გაუქმება აქციონერების თანხისა და ეხლანდელ რეგენტების საბჭოს მაგიერ დაარსება კომიტეტისა, რომელშიაც უნდა ყოფილიყვნენ დანიშნულნი არჩევანით ღირსეულნი წარმომადგენელნი მრეწველობისა, ვაჭრობისა, ფინანსებისა და სახელმწიფოსი. მუდმივი თვალ-ყურის ჭერა სრულიად თავისუფალის მწერლობის მიერ, ქვეყნისა და პარლამენტის მხრივ, აგრეთვე გულ-მოდგინედ შედგენილი წესნი დაიფარავდნენ ასეთს ბანკს ყოველ გვარ ბოროტ-მოქმედებისაგან. მაგრამ პალატამაც რომ ვერ გაჰბედოს ესეთი საქმე, მაინც მეტისმეტად მავნებელია დავთანხმდეთ ბანკის უპირატესობათა განგრძობას იმ პირობით, რა პირობითაც მთავრობა თხოულობს. ტიერსა და დიუფორსაცკი, აგრეთვე სხვა წარმომადგენელთ ნაპოლეონის წეს-წყობილებისათა, მეტის-მეტად უხერხულ საქმედ მიაჩნდათ უპირატესობათა მინიჭება ბანკისათვის დიდის ხნის ვადითაო. მილიერანმა იანგარიშა და აღმოჩნდა, რომ 23 წლით რომ მივანიჭოთ ეგ უპირატესობანი ბანკს, პარლამენტი შესძენს აქციონერების ჯიბეს, სულ ცოტა, 817 მილიონ ფრანკს წმინდა მოგებასაო.

უფრო ძლიერ იმოქმედა პალატაზედ მილიერანის სიტყვის დასასრულმა. მილიერანმა მოიხსენია, რომ ერის უმრავლესობამ ახლა უკვე გაიღვიძა და თვალები მოიფშვნიტაო, თავგამოდებით სცდილობს განაკარგოს თავისი ყოფა-ცხოვრებაო. ამიტომ საჭიროა, ბურჟუაზია მეტის ჯიუტობით არ ებღაუჭებოდეს თავის სხვა-და-სხვა უპირატესობას, თუ არ უნდა კვლავ გაალმასოს ხალხი და დაჰბადოს ის საშინელი მღელვარება, რომელმაც არა ერთხელ შეუშალა ხელი ჩვენის ქვეყნის წარმატებასაო.

(დასასრული იქნება)

## დეპეშა

10 აგვისტო

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია კანონმდებლობა საზღვარ გარედ შვრიისა, ქვავის ფქვილისა და ყოველ გვარ ქატოს გატანის შესახებ.

გამოცხადებულია გზათა სამინისტროს მმართველის ბრძანება შესახებ იმ ბოროტ-მოქმედებისა, რომელიც აღმოჩნდა მოგილიოვის ოლქის რევიზიის დროს. დამნაშავენი დათხოვნილ იქმნენ სამსახურიდგან და სამართალშიაც მისცეს.

იმის გამო, რომ საზღვარ-გარეთის ზოგიერთ გაზეთებში დაბეჭდილია, ვითომ რუსეთის მთავრობა ძლიერ სასტიკად ეპყრობა და სდევნის ებრაელთ, გაზეთი «Правит. Вѣст.»-ი აცხადებს, რომ ყველა სახელმწიფოში მიღებულია ებრაელთა წინააღმდეგ სხვა-და-სხვა ღონისძიება და ეს ღონისძიებანი სასტიკად იმიტომ ჰგონიათ უცხოელებს, რომ ებრაელთა თითქმის ნახევარი ნაწილი რუსეთში სცხოვრობს. რაიცა შეეხება იმას, ვითომ რუსეთის მთავრობა სდევნიდეს და სასტიკად ეპყრობოდეს ებრაელთ,

---

მე, რომ მარტო ვნება-ღა გვასულდგმულებს, რაღაც უცნაური ძალა გვეწევა და ისეთს რასმე გადაგვაწყვეტინებს და ჩაგვადენინებს, რაც ჩვენ საძრახისად, უკანონოდ მიგვაჩნია. აი ის საიდუმლო ძალა განგვაგებს ჩვენ წინააღმდეგ ჩვენის ნებისა... ხომ შესაძლებელია, რომ ჩვენვე მიგვაჩნდეს ჩვენი თავი მხდალად, მაგრამ არ შეგვეძლოს-კი... იქნება კარგად, ვერ ვამბობ, რის თქმაც მინდა... მე მსურს ვსთქვა, რომ შეიძლება მხდალად გეჩვენებოდეთ...

— დიაღ, დიაღ, შეიძლება, სთქვა ლესმანმა: მაგრამ დაგვიანდა, ვიკმაროთ.

სთქვა ესა და განშორდა კარლს პროფესორი.

მართლაც-და გვიანღა იყო. სტოლები თითქმის სულ დაცალიერდა. ის დარბაზი, სადაც ეგზემენის წინად შეიკრიბნენ სტუდენტები, ეხლა ისევ გაივსო. ომი გადახდილი იყო. დროგამოშვებით კვლავ გაიღებოდა კარები და ვინმე სახე-გაწითლებული შემოვიდოდა, ხელებს იშმუშნიდა, როგორც ბრძოლის ველიდგან დაბრუნებული, და სალამს აძლევდა ნაცნობებს, რომელნიც ამბის შესატყობად მოდიოდნენ. „დასწყევლოს ღმერთმა, ეს რა ამბავია! იმოდენას მკითხავდა, რომ ათი ბრძენიც რომ ყოფილიყო ერთად თავ-მოყრილი, ისინიც ვერ მიუგებდნენ რიგიანად!?“ „ეგ რა! ჩემი ეგზემენი უნდა გენახა, რა ამბავი იყო!“ ამბობდა მეორე. თითოეულს სტუდენტს ისე ეგონა, მე დამაყენეს, რაც დღე დამაყენეს, თორემ სხვას რაო. ვინც საქმისთვის არ იყო მოსული და მთელი საათი ელოდებოდნენ ეგზემენის გათავებას, ისინი მოუთხრობდნენ ზედამხედველების შესახებ, რომელთაც მრავალი ილაპარაკეს, ესა-და-ეს კარგი სტუდენტი სულ უბრალოდ ჩაიჭრა ეგზემენის დროს და დამარცხდაო; თქვენც წადით და ნუ უცქერით ეხლა ამ გულის საკლავს სურათსაო.

ასე გადიოდა დრო. გული გადაელიათ ლოდინისაგან; ჯერ არავისთვის არ დაეძახნათ. პროფესორები თათბირობდნენ. ოთახში ძლიერ დაცხა და ჰაერი შემძიმდა. გააღეს ფანჯარა, მაგრამ ნიავი არ შემოვიდა, თუმცა უკვე ღამის ათი საათიც შესრულდა. დიდს მოედანზედ, საოპერო თეატრის წინ, მყუდროება სუფევდა, თეატრი დაეკეტნათ და გამვლელ-გამომვლელიც ძლიერ ცოტა სჩანდა. ვისაც-კი შეეძლო, ქალაქ გარედ მიეშურებოდა; ათასში ერთხელ ძლივს გაივლიდა ეტლი ქუჩაში. უცებ ცამ იელა და დარბაზი გაანათა. სტუდენტებმა ერთი-ერთმანეთს დაუნახეს დაღონებული სახეები. დრო როგორღაც ნელა მიდიოდა. ზედამხედველებს მიჰმართავდნენ ხოლმე, მაგრამ ტყუილად: ჯერ კიდევ არავის უძახოდნენ, პროფესორები ისევ თათბირში იყვნენ.

კარლიც გამოვიდა დარბაზიდგან, მივიდა და ჩუმად ჩამოჯდა ერთადერთს ცალიერს სკამზედ, კუთხეში; აღარც მღელვარებდა და არც მოლოდინი ჰქონდა რისამე. ნაცნობები არ მისულან ამბის შესატყობად: ვის რა ედარდებოდა კარლისა! ყველაფერი კარლმა განგებას მიანდო.

არტური კარლისავით გაჩუმებული არ იყო; განუწყვეტლივ ეჯბედებოდა ხან ვისა და ხან ვისა; დასცინოდა ამხანაგებსაც, პროფესორებსაც და თავის თავსაც. ჩემი საქმე რომ კარგად წავიდეს, სწორედ სასწაული იქნებაო, ეუბნებოდა ერთს ნაცნობს. რას ამბობდა და რასა სჩმახავდა, კაცი ვერაფერს გაუგებდა. თუ ვინმე პროფესორთაგანი მოიწადინებდა არტურის გაჩერებას, ის თავისას მაინც არ იშლიდა. „აბა ერთი, რა უნდა გააწყონ ჩემთან! განაგრძო არტურმა: მერწმუნეთ, თავი და თავი ის არის, რომ კაცმა ლაპარაკი არ შეწყვიტოს; უნდა ილაპარაკოს და არც ტყუილს მოერიდოს და არც მართალსა“.

არტურს გარს შემოჰხვევოდნენ და გულ-დადებით უსმენდნენ ყბედობას. მხოლოდ როცა კარი გაიღებოდა, ყველა მიიხედავდა ხოლმე იქითკენ, მე ხომ არ მიძახიანო. მაგრამ ამაოდ, მხოლოდ ზედამხედველი-ღა ანუგეშებდა: „მალე იქნებაო“. ცა ისევ ელავდა, შორიდგან ქუხილიც ისმოდა. სტუდენტები ისევ დერეფნებში დაიარებოდნენ და ჯერ მაინც ვერა შეეტყოთ-რა.

თანდათან ლაპარაკიც მისწყდა. ყველანი დაიღალნენ და სიჩუმე ჩამოვარდა. კარლი უძრავად იჯდა თავისთვის კუთხეში. მხოლოდ ერთხელ მოუვიდა ფიქრად: რა იქნება, რომ არტურს მივვარდე და დავარჩოო? მაგრამ უეცრად დილანდელი სახე მოაგონდა გერტრუდასი, თავისი აზრი გულშივე ჩაიკლა და სკამიდგან არ დაიძრა.

ს. გძელიშვილი

(დასასრული იქნება)

ყველა ეს ტყუილი და საფუძველს მოკლებული ამბებიაო.

პეტერბურგში 9 და 10 აგვისტოს ავად გახდა 83, გარდაიცვალა 18, მორჩა 54. სამარაში ხოლერა ნელდება.

12 აგვისტო.

**პეტერბურგი.** გამოცხადებულია კანონდებულება იმის შესახებ, რომ ბალტიის ზღვის ნავთსადგურებზედ და რუსეთ-პრუსიის საზღვრებზედ უგარდასახადოდ გაატარონ წიფელის გადასაჭედები და კრკალუბი. ეს წესი ორი წლით არის დადგენილი დროებით ღონისძიებად.

**პარიჟი.** პასტერმა გუშინ მეცნიერებათა აკადემიას აუწყა ის ამბავი, რომ რუსეთის ექიმს ხავკინს ხოლერა აუცრია თავის თავისა და სამის სხვა რუსისათვის ამ სენისაგან უზრუნველ-საყოფლად და ამ ცდას სანუგეშო შედეგი მოჰყოლიაო.

ცეორე საქველ-მოქმედო ლატარიის ტირაჟი.

ორას ორმოც-და-ათ მანათიანი

| № ბილ. | №№ სერიის | № ბილ. | №№ სერიის | №№ ბილ. | №№ სერიის |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | 2605 | 6 | 8286 | 12 | 2502 |
| 1 | 3032 | 7 | 834 | 12 | 2691 |
| 1 | 3566 | 7 | 1760 | 12 | 3910 |
| 1 | 4658 | 7 | 2438 | 12 | 4136 |
| 1 | 4796 | 7 | 4142 | 12 | 6214 |
| 1 | 4907 | 7 | 9924 | 12 | 8545 |
| 1 | 6560 | 7 | 10190 | 12 | 9686 |
| 1 | 7792 | 8 | 487 | 13 | 714 |
| 1 | 8068 | 8 | 1020 | 13 | 1472 |
| 1 | 8668 | 8 | 3320 | 13 | 2599 |
| 1 | 9258 | 8 | 3586 | 13 | 2897 |
| 1 | 9714 | 8 | 7243 | 13 | 4676 |
| 1 | 9838 | 8 | 8095 | 13 | 5319 |
| 1 | 9906 | 8 | 8915 | 13 | 7085 |
| 1 | 10702 | 8 | 10600 | 13 | 8253 |
| 2 | 2189 | 8 | 11466 | 14 | 484 |
| 2 | 2782 | 8 | 11891 | 14 | 1888 |
| 2 | 3544 | 9 | 884 | 14 | 4490 |
| 2 | 5215 | 9 | 974 | 14 | 5065 |
| 2 | 5434 | 9 | 1330 | 14 | 5552 |
| 2 | 5936 | 9 | 1901 | 14 | 6116 |
| 2 | 6655 | 9 | 3062 | 14 | 8584 |
| 2 | 6900 | 9 | 4766 | 14 | 9630 |
| 2 | 7362 | 9 | 5310 | 15 | 355 |
| 2 | 7650 | 9 | 8758 | 15 | 3340 |
| 2 | 9880 | 9 | 11392 | 15 | 4036 |
| 2 | 9995 | 9 | 11551 | 15 | 5185 |
| 2 | 10674 | 9 | 11674 | 15 | 11569 |
| 2 | 10902 | 10 | 611 | 16 | 1647 |
| 2 | 11209 | 10 | 943 | 16 | 2079 |
| 3 | 904 | 10 | 1412 | 16 | 2783 |
| 3 | 2119 | 10 | 1635 | 16 | 3788 |
| 3 | 3000 | 10 | 2437 | 16 | 4152 |
| 3 | 3372 | 10 | 5857 | 16 | 5538 |
| 3 | 3688 | 10 | 6702 | 16 | 5497 |
| 3 | 3820 | 10 | 7556 | 16 | 8381 |
| 3 | 7652 | 10 | 8981 | 16 | 9147 |
| 4 | 242 | 10 | 10594 | 16 | 9302 |
| 4 | 3986 | 10 | 11713 | 16 | 11366 |
| 4 | 4754 | 11 | 150 | 17 | 128 |
| 4 | 5000 | 11 | 1491 | 17 | 2509 |
| 4 | 5646 | 11 | 2340 | 17 | 2666 |
| 4 | 5818 | 11 | 3320 | 17 | 3350 |
| 5 | 2604 | 11 | 3777 | 17 | 6204 |
| 5 | 3936 | 11 | 8603 | 17 | 7410 |
| 5 | 4628 | 11 | 9425 | 17 | 8954 |
| 5 | 8401 | 11 | 10140 | 17 | 9311 |
| 5 | 9155 | 11 | 10358 | 17 | 9802 |
| 5 | 10272 | 11 | 11869 | 17 | 10847 |
| 5 | 10980 | 12 | 690 | 17 | 11438 |
| 6 | 69 | 12 | 769 | 17 | 11590 |
| 6 | 3856 | 12 | 1494 | 18 | 1709 |
| 6 | 5841 | 12 | 1820 | 18 | 2359 |
| 6 | 5867 | 12 | 1845 | 18 | 2634 |
| 18 | 3892 | 26 | 2900 | 32 | 11811 |
| 18 | 5001 | 26 | 3846 | 33 | 186 |
| 18 | 5012 | 26 | 4446 | 33 | 742 |
| 18 | 7228 | 26 | 5824 | 33 | 3685 |
| 18 | 7553 | 26 | 6205 | 33 | 4155 |
| 18 | 8345 | 26 | 6462 | 33 | 9924 |
| 18 | 8928 | 26 | 6688 | 33 | 10383 |
| 19 | 2605 | 26 | 7453 | 33 | 11811 |
| 19 | 5363 | 26 | 8839 | 34 | 265 |
| 19 | 5569 | 26 | 9144 | 34 | 3649 |
| 19 | 9119 | 26 | 9158 | 34 | 2444 |
| 19 | 9401 | 26 | 11276 | 34 | 5336 |
| 19 | 10643 | 26 | 11627 | 34 | 6778 |
| 19 | 11815 | 27 | 1137 | 34 | 7622 |
| 20 | 6304 | 27 | 6311 | 34 | 9170 |
| 20 | 6451 | 27 | 6850 | 34 | 10214 |
| 20 | 7600 | 27 | 10366 | 34 | 10540 |
| 20 | 7650 | 27 | 11232 | 34 | 11334 |
| 20 | 10907 | 28 | 657 | 34 | 11628 |
| 21 | 2138 | 28 | 1178 | 35 | 384 |
| 21 | 2553 | 28 | 1306 | 35 | 610 |
| 21 | 2610 | 28 | 1401 | 35 | 1407 |
| 21 | 2730 | 28 | 3397 | 35 | 1427 |
| 21 | 3138 | 28 | 5368 | 35 | 1528 |
| 21 | 4172 | 28 | 5397 | 35 | 1805 |
| 21 | 5075 | 28 | 6325 | 35 | 5229 |
| 21 | 7007 | 28 | 6799 | 35 | 6051 |
| 21 | 7260 | 28 | 6923 | 35 | 8600 |
| 21 | 7716 | 28 | 7213 | 35 | 10756 |
| 21 | 8955 | 28 | 7364 | 36 | 2322 |
| 21 | 9702 | 28 | 8358 | 36 | 3703 |
| 21 | 11652 | 28 | 8916 | 36 | 3963 |
| 21 | 11976 | 29 | 2759 | 36 | 4383 |
| 22 | 992 | 29 | 5034 | 36 | 4859 |
| 22 | 1481 | 29 | 6150 | 36 | 5237 |
| 22 | 1970 | 29 | 6964 | 56 | 5950 |
| 22 | 2188 | 29 | 7814 | 36 | 6350 |
| 22 | 2702 | 29 | 11383 | 36 | 7556 |
| 22 | 3257 | 29 | 11457 | 36 | 8474 |
| 22 | 6933 | 30 | 4180 | 36 | 9591 |
| 22 | 7250 | 30 | 4752 | 37 | 152 |
| 22 | 7459 | 30 | 5664 | 37 | 1062 |
| 22 | 9274 | 30 | 7899 | 37 | 1197 |
| 22 | 10019 | 30 | 9866 | 37 | 3343 |
| 22 | 10229 | 30 | 10559 | 37 | 4089 |
| 22 | 10644 | 30 | 10636 | 37 | 5217 |
| 22 | 10794 | 31 | 2 | 37 | 9083 |
| 22 | 11322 | 31 | 405 | 37 | 9271 |
| 22 | 11346 | 31 | 831 | 37 | 9629 |
| 22 | 11521 | 31 | 1258 | 37 | 11615 |
| 23 | 1410 | 31 | 3858 | 38 | 3495 |
| 23 | 3539 | 31 | 5186 | 38 | 3624 |
| 23 | 7454 | 31 | 5363 | 38 | 5308 |
| 23 | 10194 | 31 | 9044 | 38 | 8408 |
| 23 | 11082 | 31 | 9080 | 38 | 10051 |
| 24 | 1236 | 31 | 10568 | 39 | 285 |
| 24 | 2435 | 31 | 11245 | 39 | 2148 |
| 25 | 2146 | 31 | 11255 | 39 | 2409 |
| 25 | 3429 | 31 | 11416 | 39 | 2946 |
| 25 | 3570 | 32 | 2422 | 39 | 3576 |
| 25 | 6700 | 32 | 3642 | 39 | 8572 |
| 25 | 8139 | 32 | 5365 | 39 | 9559 |
| 25 | 8836 | 32 | 6668 | 39 | 9710 |
| 25 | 9856 | 32 | 7309 | 39 | 10886 |
| 26 | 1784 | 32 | 8307 | 39 | 11161 |

(დასასრული ხვალ)

პეტერბურგის ბირჟა, 11 აგვისტო.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | 7,77 | 7,80 | — ,, |
| ტამოყნის კუპონები . | 155¼ | 156 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული . . . . . | 1,08 | 1,10 | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . | — ,, | — ,, | 235¼ |
| —მეორისა . . . . | — ,, | — ,, | 223¼ |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი . . | — ,, | — ,, | 193¼ |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: | | | |
| 6%. . . . . . . | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | 99½ |
| ქუთაისის ბანკისა 6%. | 102¼ | — ,, | — ,, |
| 5%. . . . . . . | — ,, | — ,, | 99¾ |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 98,62 | — ,, | — ,, |

## გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზე

**რკინის გზის მიმოსვლა**

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი 9 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის. . 9 ს. 52 წ. საღ.

„ . . . . . „ . 12 ს. 25 წ. შუად.

ტფილისიდგან ბაქოს მიდის 1 ს. 25 წ. შუადღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის „ . . 5 ს. 50 წ. საღ.

ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის . . 9 ს. 20 წ. საღ.

განჯიდგან ტფილისსმიდის „ . . 7 ს. 30 წ. დილ.

ბათუმიდამ გადის:

ხ უ თ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: დღისით 4 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში, კ ვ ი რ ა ო ბ ი თ ღამის 2 საათზე, შორის გზით, შეივლის ფოთსა და ყველა ნავთსადგურში. ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ, საღამოს 7 საათზე, საზღვარ გარედ სტამბოლში.

ბათუმში მოდის:

ო რ შ ა ბ ა თ ო ბ ი თ: საღამოზე, ოდესიდგან, შორის გზით. პ ა რ ა ს კ ე ო ბ ი თ, დ ილით, ოდესიდგან, მოკლე გზით, გამოივლის ერჩსა და ნოვოროსიისკზე. კ ვ ი რ ა ო ბ ი თ დილით, სტამბოლიდგან.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

საფოსტო და სახალხო ოდესიდგან ორშაბათობით, დღისით.

სახალხო და საქონლისა კვირაობით, საღამოზე, ოდესიდგან. ს ა ხ ა ლ ხ ო და საქონლისა ბათუმიდგან ხუთშაბათობით, გაადისაითს.

ფოთიდგ გადის:ნ

საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, კვირაობით, დილის 8 საათზე

საფოსტო და სახალხო ორშაბათობითსაქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით, ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

ნ ი ხ რ ი

1892 წ. 4 მარტიდგან ახალ განკარგულებამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | „ | კ. |
| წითელი „ 1-ის ხარისხ. | „ | „ |
| „ „ 2 | „ | „ |
| თონ. წით. პურ. 1 ხარ. | „ | „ |
| „ „ „ 2 | „ | „ |
| „ „ „ 3 | „ | „ |

ჯვარის მამის პურის ლავაში.

| | | |
|---|---|---|
| 1-ის ხარ. პურ. ლავაშ. 1 გ. | | კ. |
| მე-2 „ „ „ | „ | . |
| მე-3 „ „ „ | „ | „ |
| ძროხის ხორცი 1-ის ხარისხისა | 8 | „ |
| „ „ 2 | „ | „ |
| სუკი — — — | 14 | „ |
| ცხვრის ხორცი — — | 9 | „ |
| ღორ. ხორ. უტყაოდ 1 ხარ. 1 გ. | 7 | „ |
| მე-2 ხარ. ტყავიანად | 6 | „ |


# განცხადებანი

## კბილის ექიმი
## ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

შუადღის 12-დგან ნაშუადღევის 2 საათამდე.

საღამოთი 5-დგან 7 საათამდე.

კვირა-უქმე დღეებში

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 1 საათამდე. (150—91)




ტფილ. გამოფენა.




ვერცხლისა




ოქროსი

## ЗАВОДЪ
## МАСЛЯНЫХЪ КРАСОКЪ
## А. А. ТУТАЕВА.

*Кузнецкая ул., ниже Солдатскаго базара.*

Принимаются постройки, ремонты и окраски домовъ, крышъ, фасадовъ и проч. Имѣются въ продажѣ всевозможныя лито-ти, пографическія масляныя и сухія краски, кисти, масла и прочее-ручается за добросовѣстное исполненіе работъ и доброкачественность матеріаловъ.

## ძღძლო თუთაევის

ზეთიანის კრასკების ქარხანა იარმუკაზედ

**ტფილისში:**

ვიღებ ქ. ტფილისში და საქართველოს რკინის გზის სადგურებთან ორის ვერსის სიახლოვეზედ სახლების აშენებას, აგრეთვე სახლების შეკეთებას (ремонтъ) და შეღებვას (полная окраска домовъ). ვყიდი ფაბრიკის ფასით ვაზღვარ-გარეთიდამ მოსულს ლიტო-ტიპოგრაფიის, ხუდოჟნიკის და ფაეტონების წასასმელს ყველა ნაირ ფერის კრასკებს: ალიფს, ლაქს, გუმირასიკს, მასას, ბრონძს და ყველა ამათ მოწყობილების იარაღს.

ვამზადებ ჩემს კრასკის ქარხანაში ყოველ ნაირ ზეთით გალესილს კრასკებს. ვპირდები ყველას, რომ ყოველი ჩემ მიერ გაკეთებული საქმე და ჩემგან ნასყიდი კრასკები იქნება უტყუარი და საქმე პირობისამებრ ჩაბარებული.

ვაძლევ სანდო ადგილებში საქმის სიმკვიდრისათვის ერთის წლიდამ სამ წლამდე ზალოგს.

კრასკები შეიძლება დაიბარონ სხვა ქვეყნებში ოცის პროცენტის ბსეი გამოგზავნით, დანარჩენს ფასს გარდაიხდიან დანიშნულს ადგილზედ საქონლის მიღების დროს (наложеннымъ платежомъ). (48—27)

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „ივერია"

1892 წ. 1-ს იანვრიდამ გამოვა ყოველ-დღე გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს.

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 12 | თთვით. | 10 მ. | —კ. | 6 | თთვით | 6 მ. | —კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50,, | 5 | ,, | 5 ,, | 50,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75,, | 4 | ,, | 4 ,, | 75,, |
| 9 | ,, | 8 ,, | —,, | 3 | ,, | 3 ,, | 50,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25,, | 2 | ,, | 2 ,, | 75,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50,, | 1 | ,, | 1 ,, | 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ეღირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ ,,ივერია'' მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты ,,ИВЕРІЯ".

თუ ტფილისში დაკვეთილი გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—40 კაპ.

თუ თთვის განმავლობაში დაიკვეთა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, იმას მხოლოდ შემდეგის თთვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცხადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი 8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი 30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოინგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერი და საგაზეთოდ დანიშნული წერილები კორესპონდენციები, რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქმნება. არ-დასაბეჭდს ხელ-ნაწერებს, თუ ერთის თთვის განმავლობაში პატრონებმა არ მოიკითხეს, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვენ.

არა-გვარს მიწერ-მოწერას არ-დაასაბეჭდთა ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცი არა ჰკისრულობს.

პირდაპირ მოლაპარაკებისათვის რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდგან სამ საათამდე-და საღამოობით 7-დგან 8 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოოზის ქუჩაზე, თავ. გრუზინსკისეულს სახლებში. №.